ქედას მუნიციპალიტეტის მერია მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტის შესამუშავებლად საჯარო შეხვედრას გამართავს

ქედას მუნიციპალიტეტის მერია მიმდინარე წლის 22 სექტემბერს გეგმავს სამუშაო შეხვედრას დაინტერესებულ მხარეებთან მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტის შესამუშავებლად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა. დოკუმენტი წარმოადგენს მსოფლიო ხალხების მოწოდებას შიმშილის აღმოფხვრის, პლანეტის დაცვის ასევე, საყოველთაო მშვიდობისა და განვითარებისათვის.

2015 წელს საქართველომ, გაეროს ყველა სხვა წევრ ქვეყანასთან ერთად, გამოთქვა სურვილი, განეხორციელებინა 2030 წლისთვის დასახული მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები. მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია, ეროვნულ სტრატეგიებში მათი ინტეგრაცია, ამოცანების შესრულების მონიტორინგის, პროგრესის შეფასებისა და ანგარიშგების სიტემის ჩმოყალიბება.

ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისთვის გაწეული ძალისხმევა არ იქნებოდა სრულყოფილი ადგილობრივი ხელისუფლებების მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად შემუშავდა მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზების, ანუ ადგილობრივ თვითმმართველობებში დანერგვის, სამოქმედო გეგმა, რომელსაც მუნიციპალიტეტებმა მხარი დაუჭირეს.

ქედას ერთ-ერთი პირველი მუნიციპალიტეტია საქართველოში, რომელმაც მუშაობა დაიწყო მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დასანერგად. 2023 წლის 22 სექტემბერს დაგეგმილი შეხვედრის მიზანია ყველა დაინტერესებულ მხარესთან ღიად და საჯაროდ, მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, არსებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით განიხილოს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების ადგილობრივ დონეზე დანერგვის საკითხები. ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში შემუშავდება და ქედას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდება მდგრადი განვითარების მიზნების ქედას მუნიციპალური დოკუმენტი.

მუნიციპალიტეტის მერია სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს რომელიც ცხოვრობს ქედას მუნიციპალიტეტში და ორგანიზაციას, რომელიც ფუნციონირებს მუნიციპალიტეტში, როგორც კერძო სექტორში, ასევე, სამოქალაქო სექტორში, საგანმანათლებლო სფეროში, მედიაში და სხვ.

შეხვედრა გაიმართება ქედას მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: მერაბ კოსტავას ქუჩ 1, ქედა) 2023 წლის 22 სექტემბერს, 14 საათიდან 17 საათამდე. დასწრება თავისუფალია.